IDFI-ის მიერ დადგენილების არაოფიციალური თარგმანი

საპარლამენტო ასამბლეა ევროპის საბჭო

დადგენილება N 1954 (2013)

ეროვნული უსაფრთხოებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ

2 ოქტომბერი

1. საპარლამენტო ასამბლეა აღიარებს გამჭვირვალობის პრინციპის მნიშვნელობას, მათ შორის საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლებას, დემოკრატიის განვითარებისა და ღია მმართველობის დანერგვის, განსაკუთრებით კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, კონტექსტში.

2. საპარლამენტო ასამბლეა მიესალმება იმ ფაქტს, რომ ევროპის საბჭო პირველი სახელმწიფოთაშორისი ინსტიტუტია რომელმაც საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პირველი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი შეიმუშავა. კერძოდ, „ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია (CETS No. 205). აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ასამბლეამ მინისტრთა კომიტეტს წარუდგინა (პროექტი -270 (2008)) აღნიშნული დოკუმენტის გაუმჯობესების რეკომენდაციები, გამჭვირვალობის კიდევ უფრო მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფისათვის. კონვენციის ამოქმედებისთვის კვლავ საჭიროა ოთხი ქვეყნის მიერ მისი რატიფიცირება.

3. ასამბლეა ერთმნიშვნელოვნად ითვალისწინებს ეროვნულ უსაფრთხოების ლეგიტიმური ინტერესების დაცვის მიზნით, საჯარო დაწესებულებების გამგებლობაში არსებული ინფორმაციის გასაიდუმლოების სამართლებრივ პირობას. ამავე დროს ასამბლეა აღნიშნავს, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვან კომპონენტს, უწყობს რა ხელს დემოკრატიულ ჩართულობას, პოლიტიკის ფორმულირებას და სახელმწიფოს საქმიანობაზე საზოგადოებრივ კონტროლს.

4. ითვალისწინებს რა სირაკუსას პრინციპებს ,,სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო კონვენციის შეზღუდვისა და პირობების გადახედვის შესახებ“, ასამბლეა აცხადებს, რომ ადამიანის უფლებების სისტემატიური დარღვევა რეალურ საფრთხეს უქმნის, როგორც ეროვნულ უსაფრთხოებას, ასევე საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო პასუხისმგებელი მსგავს ქმედებებზე არ უნდა იყენებდეს ეროვნულ უსაფრთხოების ინტერესებს ამ ქმედებების გამართლების მოტივად.

5. „სახელმწიფო საიდუმლოებისა და ეროვნული უსაფრთხოების ბოროტად გამოყენების შესახებ“ 2011 წლის 1838- ე რეზოლუციის (ადამიანის უფლებების დარღვევებთან მიმართებაში საპარლამენტო და სამართლებრივ ზედამხედველობა), ასევე ,,ევროპაში ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ“, 2009 წლის 1675-ე რეზოლუციის გათვალისწინებით, ასამბლეა მიუთითებს გონივრული ფარგლების დაწესების აუცილებლობაზე, რაც უზრუნველყოფს ეროვნული უსაფრთხოების მოტივით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის შემთხვევებს.

6. ასამბლეა ხაზგასმით განმარტავს, რაც ასევე 2011 წლის 1838-ე რეზოლუციის 4 პარაგრაფშია მოცემული, რომ ის პირები, რომელთაც შელახეს ადამიანის უფლებები, ჩაიდინეს მკვლელობა, ადამიანის ძალადობრივი გაუჩინარება, წამება ან გატაცება, არ იმსახურებენ იმას, რომ მათი პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაცია გასაიდუმლოვდეს. მსგავსი ინფორმაცია, არ უნდა დარჩეს

სასამართლო და საპარლამენტო ზედამხვედველობის მიღმა ,,სახელმწოფო საიდუმლოების“ საფუძვლით.

7.ასამბლეა მიესალმება 2013 წლის 12 ივნისს ეროვნული უსაფრთხოებისა და ინფორმაციის ხემისაწვდომობის შესახებ **გლობალური პრონციპების** მიღებას, რომელიც შემუშავებულია საერთაშორისო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებების და აკადემიური წრეების, ეროვნული უსაფრთხოების სპეციალისტების ჩართულობით და ემყარება სახელმწიფოთა და საერთაშორისო ინსიტუტიების სტანდარტებსა და გამოცდილებებს. გლობალური პრინციპები დაეხმარება კანონმდებლებსა და ოფიციალურ პირებს საჯარო ინტერესსა და ეროვნულ უსაფრთხოებას შორის შესაბამისი ბალანსის მიღწევაში.

8.ასამბლეა მხარს უჭერს რა **გლობალურ პრინციპებს,** მოუწოდებს ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების ხელისუფლებებს, საკუთარი საკანონმდებლო ბაზისა და პრაქტიკის მოდერნიზებისას მხედველობაში მიიღონ აღნიშნული პრინციპები ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

9.ასამბლეა ხაზგასმით მიუთითებს შემდეგი პრინციპების აღსრულების აუცილებლობაზე:

9.1.
საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის. ამავე დროს, ბიზნეს ორგანიზაციებს, მათ შორის იმ ორგანიზაციებს რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია სამხედრო ან უსაფრთხოების საკითხებთან, აქვთ პასუხისმგებლობა ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებით, თუ არის ობიექტური მოლოდინი, რომ ეს ინფორმაცია იქონიებს გავლენას ადამიანთა უფლებების დაცვაზე.

9.2.

დემოკრატიული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, რომ გამონაკლისები რომელიც დაწესებულია ეროვნული უსაფრთხოების მიზნით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეგულაციებთან მიმართებაში ან/და საჯარო ინტერესით განპირობებული, ზედმიწევნით რეგულირდებოდეს კანონით.

9.3.შეზღუდვები ინფორმაციის თავისუფლად ხელმისაწვდომობის წესზე, მათ შორის ინტერნეტის ნეიტრალიტეტის წესზე, უნდა იყოს შესაბამისად ინტერპრეტირებული, რადგან ნებისმიერი სახის შეზღუდვების კანონიერების მტკიცების ტვირთი მოდის საჯარო დაწესებულებაზე, რომელიც არ გასცემს ინფორმაციას.

9.4.ინფორმაციის გასაჯაროების პროცედურები, ინფორმაციის კლასიფიცირება და განსაიდუმლობა, ასევე ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების ვალდებულებები უნდა იყოს განსაზღვრული და ხელმისაწვდომი საჯაროდ; დასაშვებია ინფორმაციის დახურვა მისი საიდუმლოების მოტივით, თუმცა პერიოდულად უნდა ხდებოდეს ამ ინფორმაციის სტატუსის გადახედვა ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებისათვის საფრთხის აქტუალობის დასადგენად. საჯარო არქივები, სადაც დაცულია საიდუმლო ინფორმაცია, უნდა პერიოდულად ახდენდნენ მასალების გადახედვას საიდუმლოების რელევანტურების დასადგენად.

9.5. გამონაკლისების ფართოდ ინტერპრეტირების აღსაკვეთად, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა უნდა დასაშვები გახდეს, იმ შემთხვევებში როდესაც საზოგადოების ინტერესი ინფორმაციის მიღებაზე გადაწონის ხელისუფლების ინტერესს მის გასაიდუმლოებაზე. საჯარო ინტერესი ინფორმაციის გამოქვეყნებაზე უპირატესია:

9.5.1. როდესაც, მისი გამოქვეყნება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მიმდინარე საჯარო დებატებში;

9.5.2. როდესაც, ხელს შეუწყობს საზოგადოების მონაწილეობას პოლიტიკურ დებატებში;

9.5.3. გამოაშკარავებს კანონდარღვევებს, მათ შორის ადამიანის უფლებების დარღვევას, სისხლის სამართლებრივ დანაშაულს, საჯარო უფლებამოსილების არაკეთილსინდისიერ გამოყენებას, ინფორმაციის განზრახ დამალვას;

9.5.4. როდესაც, ზოგადად აუმჯობესებს ანგარიშვალდებულებას და საჯარო ხარჯების კეთილზომიერ გამოყენებას;

9.5.5. წაადგება საზოგადოებრივ ჯანდაცვას და კეთილდღეობას.

9.6. ნებისმიერ გარემოებაში დაუშვებელია ინფორმაციის გასაიდუმლოება ეროვნული უსაფრთხოების მიზეზით, რაც უკავშირდება ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევას.

9.7. მამხილებელი პირი, საზოგადოებრივი ინტერესის მქონე დანაშაულის გამოქვეყნების შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს ნებისმიერი სახის შურისძიებისგან.

9.8. საჯარო ინფორმაციის გაცემა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გონივრულ ვადაში, ხოლო ინფორმაციაზე გაცემის უარი მყარად არგუმენტირებული; უნდა არსებობდეს უარის გასაჩივრების შესაძლებლობა იქამდე სანამ დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო და შემდეგ სასამართლო განხილვის საგანი გახდება. ინფორმაციის მოთხოვნისთანავე საჯარო დაწესებულებამ უნდა დაადასტუროს ან უარყოს მოთხოვნილი ინფორმაციის მასთან არსებობა.

9.9.

უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველი ორგანო საქმის შესწავლის და გამოძიების დროს უნდა იყოს დამოუკიდებელი აღმასრულებელი ხელისუფლებისგან, გააჩნდეს საკმარისი ექსპერტიზა და გამოძიების უფლებამოსილება, ასევე სრულყოფილი წვდომა საჯარო დაწესებულებაში დაცულ ინფორმაციაზე.

10. ინტერნეტის ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვა მოითხოვს იმას, რომ საჯარო დაწესებულებებმა, ინტერნეტ პროვაიდერებმა და სხვა ორგანიზაციებმა არ უნდა გამოიყენონ მასიური ჩაწერის (მიყურადების) ტექნოლოგიები როგორიცაა ყოვლისმომცველი ინსპექტირება ან სხვა საშუალებები, რაც აბრკოლებს ინტერნეტ მომხმარებელთა მონაცემების გადაცემას;

11. მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული რეკომენდაციის N R (2000) 7-ის შესაბამისად, ასამბლეა აღნიშნავს, რომ არ უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი ზომები რაც შეზღუდავს ჟურნალისტთა უფლებას არ გაამჟღავნონ საკუთარი ინფორმაციის წყაროები და მოახდინონ წყაროს იდენტიფიცირება, კერძოდ:

11.1. ბრძანებები ჟურნალისტთა და მათი დამსაქმებლების კომუნიკაციის ან კორესპონდენციის მოპოვებასთან დაკავშირებით;

11.2.ჟურნალისტთა მიმართ მიყურადების, მათი კონტაქტებისა თუ მათი დამსაქმებლების ინფორმაციის მოპოვების შესახებ ბრძანებები და ქმედებები;

11.3. პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე ჟურნალისტთა ან მათი დამსაქმებლების პირადი ან კომერციული საქმიანობის, საკუთრების, პირადი მონაცემების შესახებ ცნობების მოპოვების და მათი დაკავების შესახებ ბრძანებები და ქმედებები;

12.ასამბლეა მოუწოდებს ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს, რომელთაც ჯერ არ მოუწერიათ ხელი ევროპის საბჭოს ოფიციალური დოკუმენტების შესახებ კონვენცის რატიფიცირებისათვის, დროულად, მოახდინონ კონვენციის დანერგვა გლობალური პრინციპების გათვალისწინებით.

13.

ასამბლეა შეშფოთებას გამოხატავს ბოლო პერიოდში საიდუმლო სამსახურების მხრიდან მასიურ მიყურადების გამჟღავნებასთან დაკავშირებით და იღებს პასუხისმგებლობას მოქმედი წესის შესაბამისად დააკვირდეს ამ საკითხს.